

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია
მონიტორინგის შედეგები**

(04.07.2014 – 11.07.2014, მეორე ტური)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2012 წლის 15 აგვისტოს „წინა საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილება დაამტკიცა.

დადგენილების თანახმად განისაზღვრა, რომ კომისია უფლებამოსილია შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება ან უშუალოდ განხორციელოს მედია მონიტორინგი ან/და გამოიყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რელევანტური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის კომისია თავად ატარებს წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგს. საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი კენჭისყრამდე 50 დღით ადრე დაიწყო. მონიტორინგს დაექვემდებარა ყველა კერძო საერთო ლიცენზიის მფლობელი კომპანია, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანი არის:

- ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
- ბ) წინა საარჩევნო დებატები;
- გ) ახალ ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;
- დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;

მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. კომისიის მონიტორინგის დაკვირვების საგანია, ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არარსებობისას, კომისია შეისწავლის ყოველ კონკრეტულ საკითხს და გაატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მოცემული მედია მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს და მოიცავს პერიოდს 2014 წლის 04 ივნისიდან 11 ივნისის ჩათვლით.

(04.07–11.07)

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ (64.1%) და „ქართულ ოცნებას“ (32.8%) ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rustavi2.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „არჩევანი“, „განსხვავებული აქცენტები“, „P.S“ და „კვირის თემა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „არჩევანი“ სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ), „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ) და „ქართული პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „კვირის თემა“ სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ორჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ), „ქართული პარტიის“ (ერთხელ) და „საქართველოს გზის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გავიდა სიუჟეტები საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ვებ-გვერდების შესახებ, რასაც თან ახლდა „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატების კომენტარებიც.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეიმედი“

შპს „ტელეიმედის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (69.3%) და „ქართულ ოცნებას“ (21.8%) (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „ტელეიმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


შპს „ტელეიმედის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.imedi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელეიმედმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელეიმედის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „ტელეიმედის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები თეა სიჭინავას „პოლიტიკის დრო“, „პანორამა“ და „რეაქცია“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას თეა სიჭინავას „პოლიტიკის დრო“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემას „რეაქცია“ სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემაში შედგა დებატები. საანგარიშო პერიოდში

გადაცემაში „პანორამა“ გავიდა სიუჟეტები ალექსანდრე ელისაშვილზე და „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ ქ. ხონში გასამართი მეორე ტურის ფარგლებში.

შპს „ტელეიმედის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „სტუდია მანესტრო“

შპს „სტუდია მანესტროს“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ 52.7%, „ქართულ ოცნებას“ 43.8%, ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „სტუდია მანესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „სტუდია მანესტროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.maestro.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „სტუდია მანესტრომ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


შპს „სტუდია მანესტროს“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერში განთავსებულია საინფორმაციო გამოშვება „მაესტროს ცხრიანი“, რომელშიც ინტეგრირებულია დებატების პროგრამა, რომლის ფორმატიც ზოგჯერ იცვლება და გადის როგორც ტიპიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა, ვინაიდან გადაცემაში მხოლოდ ერთი სტუმარია მოწვეული. საანგარიშო პერიოდში გადაცემას პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ). გადაცემაში შედგა დებატები.

შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „ნათია გამცემლიძის დებატები“ და „ვახო სანაიას რეპორტაჟი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ნათია გამცემლიძის დებატები“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლებს შორის. საანგარიშო პერიოდში გადაცემაში „ვახო სანაიას რეპორტაჟი“ გავიდა სიუჟეტები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ.

აღსანიშნავია, რომ შპს „სტუდია მაესტრომ“ სპეციალურ საინფორმაციო გამოშვებებში პირდაპირ ეთერში გადასცა წინასაარჩევნო დებატები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის.

შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი – საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 47.4%, „ქართული ოცნების“ 44%, ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „პირველი სტუდია“, რომელსაც მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I არხის ეთერში პირდაპირ ეთერში გადაიცა წინასაარჩევნო დებატები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის.

II არხის – მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ II არხზე განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები „ბრიფინგის დრო“, „თავისუფალი ტრიბუნა“, „არგუმენტების დრო“. მონიტორინგის პერიოდში გადაცემას „ბრიფინგის დრო“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (თერთმეტჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ექვსჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „არგუმენტების დრო“ სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „თავისუფალი ტრიბუნა“ სტუმრობდნენ „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წევრები. აღსანიშნავია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ II არხის ეთერშიც განთავსდა წინასაარჩევნო დებატები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gpb.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.




საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 51.9%, „ქართულ ოცნებას“ 43%, ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.ajaratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „არჩევანის დრო“ და „არჩევნები 2014“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „არჩევანის დრო“ სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემაში შედგა დებატები. ამავე პერიოდში გადაცემას „არჩევნები 2014“ სტუმრობდნენ და დებატები შედგა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) და „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენლებს შორის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია კავკასია“


შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან „ქართულ ოცნებას“ 54% და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 44.7% (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.kavkasiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისთვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „ბარიერი“ და „სპექტრი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემა „ბარიერს“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემაში შედგა დებატები.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“

ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ სამაუწყებლო ბადის მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში კომპანიის მიერ ახალი ამბების პროგრამა განთავსებული არ ყოფილა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.fmabkhazia.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, ააიპ „მედია ცენტრმა ღია აფხაზეთისათვის“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „სოციალური შეკითხვა“.

შპს „TV8“

შპს „TV8“-ს საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო თემატიკის ფარგლებში არ დათმობია.

საანგარიშო პერიოდში შპს „ხარისხის არხის“ სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო თემატიკის ფარგლებში არ დათმობია.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.obiektivi.net) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ საკუთარ ეთერში განთავსებული აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „ღამის სტუდია“ და „სადამოს თოქ-შოუ“. საანგარიშო პერიოდში გადაცემა „ღამის სტუდიის“ სხვადასხვა ბლოკს პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (სამჯერ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „სადამოს თოქ-შოუს“ სხვადასხვა ბლოკს სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ) და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ოთხჯერ) წარმომადგენლები.

შპს ტელეკომპანია "I სტერეო"


შპს ტელეკომპანია "I სტერეოს" საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში დრო არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დაეთმო „ქართულ ოცნებას“ 53.2% და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 46.8% (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს ტელეკომპანია "I სტერეოს" თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს ტელეკომპანია "I სტერეოს" ფასიანი პოლიტიკური რეკლამისათვის დრო გამოყოფილი არ აქვს.

საანგარიშო პერიოდში შპს ტელეკომპანია "I სტერეოს" სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია პროგრამა „მეშვიდე სართული“, რომელიც ხასიათდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის ნიშნებით.

შპს ტელეკომპანია "I სტერეო" ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „პალიტრა TV“

2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო თემატიკის ფარგლებში არ დათმობია.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „პალიტრა TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „პალიტრა TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები „რეზიუმე მერაბ მეტრეველთან ერთად“ და „ინტერნეტპალიტრა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „რეზიუმე მერაბ მეტრეველთან ერთად“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლებს შორის.

შპს „ხარისხის არხი“

შპს „ხარისხის არხის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო თემატიკის ფარგლებში არ დათმობია.

საანგარიშო პერიოდში შპს „ხარისხის არხის“ სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთი“


შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან „ქართულ ოცნებას“ 36.7%, „ნინო ბურჯანაძე–ერთიან ოპოზიციას“ 26.7%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ 23.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 13.3% დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.facebook.com/trialeti.tvradio) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამა „არჩევნები 2014“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „საქართველოს გზის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

შპს „ტელე–რადიო კომპანია თრიალეთის“ ეთერში კვალიფიციურ სარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა)


ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (51%) და „ქართულ ოცნებას“ (49%) დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 07 ივნისიდან 15 ივნისამდე პერიოდში ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tabula.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „ფოკუსი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ) წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ ეთერში განთავსდა წინასაარჩევნო დებატები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „მეოთხე არხი“


შპს „მეოთხე არხის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დრო „ქართულ ოცნებას“ (66.3%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (33.7%) დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „მეოთხე არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „მეოთხე არხის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.facebook.com/tv4-ბათუმი) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „მეოთხე არხმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

შპს „მეოთხე არხის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „დეტალები“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემაში შედგა დებატები.

შპს „მეოთხე არხის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „TV3“

შპს „TV3“-ის საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში დრო არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან მეტწილად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 49% და „ქართულ ოცნებას“ 46.8% დაეთმო (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „TV 3“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „TV 3“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv3.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „TV 3“-მა საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „TV 3“-ს წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „TV 3“-ის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

აღსანიშნავია, რომ შპს „TV 3“-ის მიერ პირდაპირ ეთერში გადაიცა წინასაარჩევნო დებატები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის.

შპს „TV 3“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეარხი 25“


შპს „ტელეარხი 25“-ის საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 55.8% და „ქართულ ოცნებას“ 44.2%. (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „ტელეარხი 25“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელეარხი 25“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv25.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელეარხი 25“-მა საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ შპს „ტელეარხი 25“-ს საკუთარ ეთერში განთავსებული აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „დიალოგი“.

შპს „ტელეარხი 25“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს ტელერადიოკომპანია „რიონი“


საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დრო „ქართულ ოცნებას“ (54.1%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (45.9%) დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს ტელერადიოკომპანია „რიონის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს ტელერადიოკომპანია „რიონის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rionitv.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს ტელერადიოკომპანია „რიონმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

შპს ტელერადიოკომპანია „რიონის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „თემა“, „ობიექტური აზრი“, „დიალოგი“, „მრავალკუთხედი“, „7 დღე“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ობიექტური აზრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „საქართველოს გზის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

შპს ტელერადიოკომპანია „რიონის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ“


შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ“-ს საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან „ქართულ ოცნებას“ 54.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 29.5%, „ნინო ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას“ 14.2% დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.megatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „დამოუკიდებელმა ტელეკომპანია მეგა-ტვ“-მ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „დებატები“, „კვირის ფაქტები“ და „მთავარი კვირას“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დებატები“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენელი. გადაცემის წამყვანის განცხადებით გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა. ამავე პერიოდში გადაცემაში „მთავარი კვირას“ გავიდა სიუჟეტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნების“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ შესახებ.

შპს „დამოუკიდებელი ტელეკომპანია მეგა-ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ სარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.




სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია“

სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან „ქართულ ოცნებას“ 87.1%, ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10% ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (<http://tvkvemokartli.ge>) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიამ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

სს „ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია დია“


შპს „ტელეკომპანია დია“-ს საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან „ქართულ ოცნებას“ 89.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ კი 10.3% დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „ტელეკომპანია დიას“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელეკომპანია დიას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.dia.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „ტელეკომპანია დიას“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

შპს „ტელეკომპანია დიას“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „თოქ-შოუ ნინო ჩიბჩიურთან ერთად“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანის განცხადებით „ქართული პარტიის“ წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს გადაცემაში მონაწილეობაზე.

შპს „ტელეკომპანია დიას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია გურჯაანი“


შპს „ტელეკომპანია გურჯაანის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დრო „ქართულ ოცნებას“ 44%, „ნინო ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას“ 33.8% და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 22.2% დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „ტელეკომპანია გურჯაანის“ თვითრეგულირების მექანიზმში

არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელეკომპანია გურჯაანის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gurjaaniv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელეკომპანია გურჯაანმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

შპს „ტელეკომპანია გურჯაანის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია გურია“


შპს „დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია გურიას“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დრო დაეთმო „ქართული ოცნება“ 80.6%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 19.4% (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია გურიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია გურიას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.guria.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია გურიამ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

შპს „დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია გურიას“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „არჩევნები 2014“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ორჯერ) წარმომადგენლები. აღნიშნულ გადაცემაში შედგა დებატები.

შპს „დამოუკიდებელი სამაუწყებლო კომპანია გურიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“


შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღას“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში დრო არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან „ქართულ ოცნებას“ 70.5% და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ 29.5% დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღას“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.nwbc.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღამ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღას“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „თემა“, „მრავალკუთხედი“ და „ტელედისკუსია“. მონიტორინგის პერიოდში გადაცემა „თემას“ სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლებს შორის.

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია თანამგზავრი“


შპს „ტელეკომპანია თანამგზავრის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში დრო არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიებიდან დაეთმო „ქართულ ოცნებას“ (41.2%), „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (33.6%) და „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ (25.2%) (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 04 ივლისიდან 11 ივლისამდე პერიოდში შპს ტელეკომპანია „თანამგზავრის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს ტელეკომპანია „თანამგზავრს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tanamgzavri.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს ტელეკომპანია „თანამგზავრმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის.

შპს ტელეკომპანია „თანამგზავრს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „მრავალკუთხედი“, „დიალოგი“ და „გენდერი და თანასწორობა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დიალოგი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) და „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ორჯერ) წარმომადგენლები.

შპს ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ქართული ტვ“

შპს „ქართული ტვ“-ს სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა არც ახალი ამბების პროგრამა და არც საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები.

შპს „ქართული ტვ“-ს საჯაროდ გამოცხადებული და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია.